საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/6846
29/06/2017

6846-2-08-2-201706291607

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" (შემდგომში- გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი) მოთხოვნათა შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის განსაზღვრული შეზღუდული ვადების გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგეობლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი(ასაქცევი)-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე, საავტომობილო გვირაბის მიმდებარედ, ავტოტრანსპორტის მოსაბრუნებელი საავტომობილო გზის (სავარაუდო სიგრძით 1კმ) მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით პროექტირება-მშენებლობის რეჟიმში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის ბატონ კახაბერ გულედანის #2241-01 27.06.2017წ. წერილით, დეპარტამენტში შემოსულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბატონ გიორგი ერმაკოვის #25/10046 27.06.2017წ. წერილი, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი: აჭარის რეგიონში ბოლო წლებში საგრძნობლად მოიმატა ადგილობრივმა თუ უცხოეთიდან ჩამოსულმა ტურისტების რიცხვმა, რაც შესაბამისად მოითხოვს ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-მოწესრიგებას, რათა სრულად იქნას დაკმაყოფილებული ჩამოსული ვიზიტორების მოთხოვნები. აღნიშნულთან დაკავშირებით აჭარის რეგიონში მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა.

უახლოეს პერიოდში დაიწყება ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობა, რაც საგრძნობლად განტვირთავს ქალაქ ბათუმს ტრანზიტული სატრანსპორტო ნაკადებისგან. იმის გათვალისწინებით, რომ ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთი საკმაოდ დატვირთულია სატრანსპორტო ნაკადებით, აღნიშნული მშენებლობის დასრულებამდე მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია მოწყობს დამატებით მოსატრიალებელი კვანძი. ითხოვენ დახმარებას რათა უმოკლეს პერიოდში დაიწყოს და მიმდინარე წელს დასრულდეს აღნიშნული მოსატრიალებელი კვანძის სამშენებლო სამუშაოები.

როგორც მოგეხსენებათ, აჭარის რეგიონი ერთ-ერთი გამორჩეული საკურორტო მხარეა საქართველოს მასშტაბით, რომლის უნიკალური და მრავალფეროვანი ბუნება, შავი ზღვისა და მთის საკურორტო ზონები ტურისტულად მიმზიდველია, რის გამოც ყოველწლიურად მატულობს ადგილობრივი თუ უცხოელი დამსვენებლებისა და ტურისტთა ნაკადი. აღნიშნულ რეგიონთან ძირითადი დამაკავშირებელი გზა არის საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი(ასაქცევი) სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი)

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

საავტომობილო გზა, რომელიც ასევე აკავშირებს საქართველოს თურქეთის რესპუბლიკასთან და შესაბამისად, აჭარის ტერიტორიაზე გამავალ მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობა საკმაოდ მაღალია, მათ შორის როგორც ტრანზიტული ავტოტრანსპორტი, ასევე მრავალი დამსვენებლისა და ტურისტის ავტოსატრანსპორტო საშუალებები. განსაკუთრებით მაღალი ინტენსივობა არის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე, რომელიც გადის რთულ მთაგორიან რელიეფზე და გზის ტექნიკური პარამეტრებიდან გამომდინარე, ავტოტრანსპორტის გადაადგილების სიჩქარე შემცირებულია. შესაბამისად, განსაკუთრებით საკურორტო სეზონზე, ხშირად იქმნება სატრანსპორტო საცობები და მგზავრებს ექმნებათ დისკომფორტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი(ასაქცევი)-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე, საავტომობილო გვირაბის მიმდებარედ, ზამთრის დადგომამდე მოეწყოს ავტოტრანსპორტის მოსაბრუნებელი საავტომობილო გზა (საერაუდო სიგრძით 1კმ), რომლის დასრულების შემდგომ, აღნიშნული მონაკვეთი შედარებით განიტვირთება სატრანსპორტო ნაკადისგან.

გასათვალისწინებელია, რეგიონში დამახასიათებელი შემოდგომა-ზამთრის უხვნალექიანობა და ის გარემოება, რომ სამუშაოების საპროექტო მომსახურების შესყიდვა, დოკუმენტაციის დამუშავება და ამის შემდგომ, საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის სტენდერო პროცედურები მოითხოვს დროის საკმაოდ დიდ პერიოდს (საერაუდოდ 3-4 თვე) მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით და ამავე კომპანიის მიერ მომზადდეს აღნიშნული სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაცია, სამუშაოების პარალელურ რეჟიმში, რათა სამუშაოები დასრულდეს შემჭიდროვებულ ვადებში, კლიმატური პირობების გაუარესებამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სარეაბილიტაციო სამუშაოები და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით.

გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეუფერხებლად ჩატარებისთვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადები. ამავე წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებამდე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ხელშეკრულების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეათანხმოს სააგენტოსთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა, რათა საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი(ასაქცევი)-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე, საავტომობილო გვირაბის მიმდებარედ, ავტოტრანსპორტის მოსაბრუნებელი საავტომობილო გზის (საერაუდო სიგრძით 1კმ) მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განვახორციელოთ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით პროექტირების პარალელურ რეჟიმში.

პატივისცემით,

ნუგზარ გასვიანი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი